

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ხელნაწერის უფლებით

გიორგი თედორაძე

ავტომობილების ეფექტიანობის ამაღლება მისი
საექსპლუატაციო თვისებების ადაპტირებით
სამუშაო პირობებთან

სპეციალობა TUG DC-05-3-„სავტომობილო ტრანსპორტი“

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი
დისერტაციის

ავტომენზერაზო

თბილისი

2012

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის
ფაკულტეტის სატრანსპორტო დეპარტამენტის
საავტომობილო ტრანსპორტის № 46 მიმართულებაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გ.მ.დ.სრული პროფესორი **ჯუმბერ იოსებიძე**

რეცენზენტები: ტ.მ.კ. ე. დარჩიაშვილი
 ტ.მ.კ. გ. წიფურია

დისერტაციის დაცვა შედგება 2012 წლის „.....“ „.....“ „.....“
საათზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო და
მანქანათმშენებლობის სადისერტაციო საბჭოს სადისერტაციო კოლეგის
სხდომაზე. მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას ქ. №68-ბ, I კორპ.
აუდ.560.

ავტორეფერატის გაცნობა შეიძლება ფაქულტეტის ვებ-გვერდზე, ხოლო
დისერტაციის-სტუს ბიბლიოთეკში

ავტორეფერატი დაიგზავნა „.....“ „.....“ 2012წ.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
ასოც. პროფ. **რ. ველიჯანაშვილი**

სამუშაოს ზოგადი დახასიათება

ნაშრომის აქტუალურობა. საავტომობილო ტრანსპორტი საქართველოს სატრანსპორტო სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. მისი ძირითადი დადებითი თვისებაა ტვირთების გადაზიდვების შესაძლებლობა უშუალოდ დანიშნულების ადგილამდე. იგი ასევე გამოირჩევა ტვირთზიდვის მობილურობით, გადაზიდვების სისწრაფით, მოხერხებულობით და ეკონომიკურობით.

საავტომობილო სატვირთო სატრანსპორტო სისტემის მაღალეფებიანი ფუნქციონირებისათვის საჭიროა: სატვირთო გადაზიდვების პროცესში სამუშაო პირობებთან ადაპტირებული საექსპლუატაციო თვისებების მქონე ავტოსატრანსპორტო საშუალებების (ასე) გამოყენება; სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებების საექსპლუატაციო თვისებების სრულად გამოყენების უზრუნველსაყოფა; სატვირთო გადაზიდვების ორგანიზების საქმეში თანამედროვე მეთოდების დანერგვა.

არსებული გამოკვლევების თანახმად, საქართველოში სატვირთო გადაზიდვებისას ავტომობილების ეფექტიანობის ამაღლებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ასე-ს წევით-სიჩქარითი თვისებების მოძრაობის პირობებთან ადაპტირების უზრუნველყოფა. უკანასკნელის მიღწევის ერთ-ერთ ეფექტიან მეთოდს კი წარმოადგენს ასე-ს ძრავის სიმძლავრის შერჩევა მოძრაობის პირობების შესაბამისად, რაც განაპირობებს მოძრაობის საშუალო სიჩქარის და მწარმებლურობის მაღალ მნიშვნელობებს საწვავის და სხვა მატერიალური საშუალებების მინიმალური დანახარჯებით.

დადგენილია, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალების წევით-სიჩქარითი თვისებების შეფასებისა და მისი რეალურ საგზაო პირობებში სატრანსპორტო ნაკადებში მუშაობის პირობებთან ადაპტირების ხარისხის მახასიათებელ ინტეგრალურ პარამეტრს წარმოადგენს ასე-ს კუთრი სიმძლავრე. იგი ახასიათებს ასე-ს ენერგოალტურგილობის დონეს. დაბალი კუთრი სიმძლავრის ავტომობილები გზის აღმართებზე მოძრაობებს დაბალი სიჩქარეებით ტრანსმისიის დაბალ საფეხურებზე და

მრავის მაღალ სადატვირთვო რეჟიმებზე, რის გამოც საწვავის საგზაო ხარჯი იზრდება; ამასთან ფერხდება სატრანსპორტო ნაკადების მოძრაობა და მცირდება საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება. მაღალი კუთრი სიმძლავრის ავტომობილების გამოყენებისას კი ყველა აღნიშნული პარამეტრი უმჯობესდება. შესაბამისად, დღეისათვის მთელ რიგ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში დაწესებულია მოთხოვნები სატვირთო ავტომატარებლების მინიმალური კუთრი სიმძლავრის მიმართ. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში მინიმალური დასაშვები კუთრი სიმძლავრე ამ ტიპის ავტომობილებისათვის შეადგენს 8,16 კვტ/ტ-ს; დიდ ბრიტანეთში – 5,88 კვტ/ტ-ს, ხოლო დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში – 5,58 კვტ/ტ-ს.

ამასთანავე უნდა შევნიშნოთ, რომ ასეს-ს კუთრი სიმძლავრის მნიშვნელობის განსაზღვრულ სიდიდეზე მეტად გაზრდამ შეიძლება გამოიწვიოს ასეს-ს ეფექტიანობის შემცირება, თუ არ მოხდა კუთრი სიმძლავრის გაზრდილი მნიშვნელობის სრული რეალიზება მოძრაობის მოცემულ პირობებში. შედეგად, მოძრაობის საშუალო სიჩქარის და მწარმოებლურობის ზრდის ტემპი საგრძნობლად შემცირდება, ხოლო საწვავის საგზაო ხარჯი და გადაზიდვებზე დანახარჯები გაიზრდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ საგზაო პირობებში ასეს-ს კუთრი სიმძლავრის რაციონალურ მნიშვნელობად უნდა იქნას მიჩნეული კუთრი სიმძლავრის ის მნიშვნელობა, რომელიც განააპირობებს ასეს-ს საექსპლუატაციო თვისებების სრულად რეალიზებას და ამასთან, მინიმალური მატერიალური დანახარჯებით უზრუნველყოფს ტვირთის გადაზიდვის მაქსიმალურ კუთრ მწარმოებლურობას. კუთრი სიმძლავრის რაციონალური მნიშვნელობის მიხედვით შეიძლება დადგინდეს მოცემული ასეს-ს სრული წონისათვის ძრავის მაქსიმალური სიმძლავრის რაციონალური სიდიდე ან პირიქით, ასეს-ს ძრავის მოცემული მაქსიმალური სიმძლავრისათვის – ასეს-ს რაციონალური ტვირთმზიდაობა. ავტომობილის კუთრი სიმძლავრის, ძრავის მაქსიმალური სიმძლავრის და ტვირთმზიდაობის რაციონალური მნიშვნელობების გათვალისწინებით ასეს-ს პარკის ფორმირება და მისი გამოყენებით გადაზიდვების შესრულება მნიშვნელოვნად აამაღლებს სააგტომობილო სატვირთო გადაზიდვების ეფექტიანობას.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად საქართველოში სატვირთო
გადაზიდვების ეფექტიანობის ამაღლების თვალსაზრისით,
საქართველოს საექსპლუატაციო პირობების თავისებურებათა
გათვალისწინებით სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებების
რაციონალური კუთრი სიმძლავრის განსაზღვრის და სათანადო ასე-ს
პარკის შექმნის მეთოდების დამუშავება დღეისათვის აქტუალურ
მეცნიერულ პრობლემას წარმოადგენს.

სამუშაოს მიზანია – საქართველოში სატვირთო ავტომობილების
ეფექტიანობის ამაღლება საექსპლუატაციო პირობებთან მათი
ადაპტირების მეთოდების დამუშავების გზით.

მითითებული მიზნის მისაღწევად გადაჭრილი იქნა შემდეგი
მიზანითადი ამოცანები:

- სატვირთო გადაზიდვებისას ავტომობილების ეფექტიანობის შეფასებისა და ამაღლების მეთოდების დადგენა ლიტერატურული წყაროების ანალიზის საფუძველზე;
- სატვირთო გადაზიდვებისას ავტომობილების ეფექტიანობაზე მოქმედი ძირითადი ფაქტორების დადგენა და გამოკვლევა საქართველოს საგზაო პირობებში;
- ასე-ს მოძრაობის საშუალო სიჩქარის და საწვავის საგზაო ხარჯის კომპიუტერული მოდელირებით განსაზღვრის მეთოდის დამუშავება (მუშაობის რეალური სადატვირთო რეჟიმების და საგზაო – სატრანსპორტო პირობების გათვალისწინებით);
- საქართველოს საგზაო პირობებში სატვირთო ავტომობილების ეფექტიანობის ამაღლებისათვის მათი კუთრი სიმძლავრის რაციონალური სიდიდიდეების დადგენა და ძრავას შესაბამისი სიმძლავრის განსაზღვრა;
- ასე-ს კუთრი სიმძლავრის, ძრავის მაქსიმალური სიმძლავრის და ტვირთმზიდაობის რაციონალური მნიშვნელობების გათვალისწინებით ავტოპარკის შექმნის მეთოდის დამუშავება;
- ნაშრომის ფარგლებში შესრულებული კვლევების შედეგების რეალიზების შედეგად მიღებული ეკონომიკური და ეკოლოგიური ეფექტების დადგენა.

კვლევის ობიექტია მაგისტრალური მძიმე სატვირთო
ავტოსატრანსპორტო საშუალებები და ავტომატარებლები.

სამუშაოს მეცნიერული სიახლეები:

- პირველადაა მეცნიერულად გამოკვლეული და შეფასებული საქართველოს რეალურ საგზაო პირობებთან სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებების წევით-სიჩქარითი თვისებების და მათი განმსაზღვრელი პარამეტრის – ასე-ს კუთრი სიმძლავრის ადაპტირების ხარისხი. შესაბამისად, დამუშავებულია ასე-თა კუთრი სიმძლავრის რაციონალური მნიშვნელობების განსაზღვრის მეთოდი, რომელშიც შემფასებელი კრიტერიუმის – კუთრი მწარმოებლურობის საანგარიშო ფორმულა ითვალისწინებს კუთრი სიმძლავრისაგან დამოკიდებულებით ასე-ს საკუთარი წონის ცვალებადობას.
 - დამუშავებულია სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებების ეფექტიანობის განმსაზღვრელი პარამეტრების – მოძრაობის საშუალო სიჩქარის და საწვავის საგზაო ხარჯის საანგარიშო სრულყოფილი მოდელი, რომელიც კომპიუტერზე მისი რეალიზებისას, არსებულისაგან განსხვავებით, ითვალისწინებს გზის გრძივი და განივი პროფილის ელემენტების და სატრანსპორტო ნაკადების პარამეტრების ცვალებადობას; ძრავის ნაწილობრივ და ცვალებად სადატვირთო მახასიათებლებზე მუშაობას, ასე-ს გადაცემათა კოლოფში გადაცემების გადართვის პროცესს.
 - საქართველოს საგზაო პირობებისათვის პირველადაა დადგენილი მძიმე სატვირთო ავტომობილების და ავტომატარებლების კუთრი სიმძლავრის, ძრავის მაქსიმალური სიმძლავრის და ტვირთმზიდაობის რაციონალური მნიშვნელობები და შესაბამისად დამუშავებულია ასე-ს პარკის ფორმირების მეთოდი; მათი რეალიზება უზრუნველყოფს საქართველოში საავტომობილო სატვირთო გადაზიდვების ეფექტიანობის მნიშვნელოვან ამაღლებას.
- ნაშრომის აპრობაცია:**
- დისერტაციის მასალები მოხსენებული იქნა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე – „საავტომობილო ტრანსპორტისა და ავტოსაგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პრობლემები“, თბილისი, 2009წ.; საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია „გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარება“, თბილისი, 2010; სტუ-ს 90 წლისთავისადმი მიძღვნილი სტუდენტთა მე-80 საიუბილეო

საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციაზე, სტუ, თბილისი,
2012 წ.

პუბლიკაციები. დისერტაციის მასალების მიხედვით
გამოქვეყნებულია 5 ნაშრომი, 1-გადაცემულია გამოსაქვეყნებლად.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა. დისერტაცია შედგება
შესავლის, 2 ნაწილის, 3 თავის, დასკვნების, გამოყენებული
ლიტერატურის სის და დანართისაგან. ნაშრომი შეიცავს კომპიუტერზე
დაბეჭდილ 135 გვერდს, მათ შორის 16 ცხრილს, 19 ნახაზს და დანართს
8 გვერდზე.

ნაშრომის მოკლე შინაარსი

შესავალში ნაჩვენებია ნაშრომის აქტუალურობა, მიზანი, ძირითადი
ამოცანები, მეცნიერული სიახლე და მოკლედაა გადმოცემული
სამუშაოს არსი.

პირველ თაგში განხილული და გაანლიზებულია არსებული
ლიტერატურული წყაროები, რომლებიც ეხება სატვირთო
გადაზიდვებისას ავტომობილების ეფექტიანობას, მასზე მოქმედ
ფაქტორებს და ეფექტიანობის შეფასების და ამაღლების მეთოდებს.
დადგენილია, რომ აღნიშნული ეფექტიანობის მაღალი დონის
მიღწევისათვის ძირითადი მოთხოვნებია – სატვირთო ასე-ს
საექსპლუატაციო თვისებების შეასაბამისობის უზრუნველყოფა
მოძრაობის საგზაო პირობებთან და მათი მუშაობის ეფექტიანობის
განმსაზღვრელი პარამეტრების სრულად რეალიზება. გაანალიზებულია
სატვირთო გადაზიდვების ეფექტიანობის მაჩვენებელი პარამეტრები –
დროის ერთეულში გადაზიდული ტკირთის მოცულობა (ანუ ასე-ს
მწარმოებლურობა), ტკირთის გადაზიდვაზე გაწეული დანახარჯები და
ასე-ს საექსპლუატაციო თვისებების მოძრაობის საგზაო პირობებთან
შესაბამისობის შემფასებელი კრიტერიუმები.

ნაჩვენებია, რომ საქართველოში სატვირთო გადაზიდვებით
ყოველდღიურად დასაქმებულია სხვადასხვა ტკირთმზიდაობის 10...12
ათასამდე ავტოსატრანსპორტო საშუალება, მაშინ როდესაც სულ
რეგისტრირებულია სხვადასხვა კატეგორიის 60 ათასამდე სატვირთო
ავტომობილი. საქართველოში საავტომობილო ტრანსპორტით 2011 წელს
გადაზიდული იქნა დაახლოებით 28 მლნ. ტკირთი, რაც საერთოდ
გადაზიდული ტკირთების დაახლოებით 60%-ს შეადგენს, და ეთანადება

დაახლოებით 1...1,25 მილიარდი ლარის შესრულებულ სამუშაოს. გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ სატვირთო ავტომობილების ტვირთმზიდაობის და გარბენის გამოყენების კოეფიციენტების მნიშვნელობები შეადგენს საშუალოდ $\gamma=0,5$, ასევე მათი მოძრაობის ტექნიკური სიჩქარე იცვლება 35...40 კმ/სთ-ს ფარგლებში, ხოლო საექსპლუატაციო სიჩქარე 25...27 კმ/სთ-ის ფარგლებში, რაც სატვირთო ავტომობილების ეფექტიანობის თვალსაზრისით საშუალოზე დაბალი მაჩვენებელია. ამასთან, დადგენილი იქნა, რომ საქართველოში სატვირთო საავტომობილო გადაზიდვების ეფექტიანობა მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული ასს-ს წევით-სიჩქარითი თვისებების ადაპტირებაზე მოძრაობის პირობებთან, კერძოდ ისეთ შემაჯამებელ პირობით კრიტერიუმზე, როგორიცაა ასს-ს კუთრი სიმძლავრე. აღნიშნულის საფუძველზე დასაბუთებული იქნა სადისეტრაციო ნაშრომის თემის აქტუალურობა და გამოვლენილი – დასმული ამოცანების გადაჭრის გზები.

მეორე თავში გამოკვლეულია საქართველოში საავტომობილო სატვირთო გადაზიდვებში მონაწილე საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებების ეფექტიანობის ამაღლების შესაძლებლობა მათი ტექნიკური პარამეტრების რაციონალური სიდიდეების შერჩევით.

ავტომობილების ეფექტიანობის შემფასებელ კომპლექსურ პარამეტრად მიღებული იქნა მათი კუთრი მწარმოებლურობა, რომლის გამოსათვლელ ფორმულას აქვს შემდეგი სახე:

$$W_P = \frac{G_a \cdot V_t \cdot \gamma \cdot \beta \cdot l}{(l + \beta \cdot V_t \cdot T_{b-e}) \cdot Q_s}, \text{ ტ.კმ/ლ ,} \quad (1)$$

სადაც: G_a – არის ავტომობილის სრული წონა, ტ; γ – ტვირთმზიდაობის გამოყენების კოეფიციენტი; l – ტვირთიანი გზობის მანძილი, კმ; β – გარბენის გამოყენების კოეფიციენტი; V_t – მოძრაობის საშუალო ტექნიკური სიჩქარე, კმ/სთ; T_{b-e} – დატვირთვა-გადმოტვირთვის დრო, სთ; Q_s – საწვავის საგზაო ხარჯი, ლ/კმ.

ასს-ს კუთრი მწარმოებლურობის გამოსათვლელ (1) ფორმულაში შემავალი სიდიდეებიდან გადაზიდვის პროცესში ტვირთის ტრანსპორტირებისას მოძრაობის პირობების და კუთრი სიმძლავრის

მიხედვით ცვალებადი სიდიდეებია მოძრაობის საშუალო ტექნიკური სიჩქარის V_t და საწვავის საგზაო ხარჯის Q_s მნიშვნელობები. ეს სიდიდეები, ნომინალური ტვირთმზიდაობის q_n სიდიდესთან ერთად, ასეს მახასიათებელი ტექნიკური პარამეტრებია და განსაზღვრავენ მის წევით-სიჩქარით თვისებებს. (1) ფორმულაში შემავალი დანარჩენი სიდიდეები წარმოადგენენ გადაზიდვების ორგანიზაციული ელემენტების მახასიათებელ პარამეტრებს და ტვირთის ტრანსპორტირებისას პრაქტიკულად არ იცვლიან მნიშვნელობებს. თუ ზემოთაღნიშნული ნიშნების მიხედვით დავაჯგუფებთ (1) ფორმულაში შემავალ პარამეტრებს, მაშინ ასეს-ს კუთრი მწარმოებლურობის გამოსათვლელი ფორმულა შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

$$W_p = \frac{G_a \cdot V_t}{Q_s} \cdot \frac{\gamma \cdot \beta \cdot l}{l + \beta \cdot V_t \cdot T_{b-e}}, \quad (2)$$

$$(2) \quad \text{ფორმულის პირველი მდგენელი } W_d = \frac{G_a \cdot V_t}{Q_s}, \quad \text{ასახავს}$$



მწარმოებლურობაზე ასეს-ს ტექნიკური მაჩვენებლების გავლენას მოძრაობის საგზაო პირობებისაგან დამოკიდებულებით, ხოლო მეორე მდგენელი $W_o = \frac{\gamma \cdot \beta \cdot l}{l + \beta \cdot V_t \cdot T_{b-e}}$ კი ასახავს მწარმოებლურობაზე გადაზიდვების ორგანიზაციული ელემენტების სრულყოფის ხარისხის გავლენას. აღნიშნულის გათვალისწინებით საბოლოოდ გვექნება:

$$W_p = W_d \cdot W_o, \quad \text{ტ.კმ/ლ.} \quad (3)$$


სადისერტაციო ნაშრომში ძირითადად გამოკვლეულია ასეს-ს წევით-სიჩქარითი თვისებების მოძრაობის საგზაო პირობებთან ადაპტირება და კუთრი სიმძლავრის რაციონალური მნიშვნელობის განსაზღვრისას, ასეს-ს კუთრი სიმძლავრის გავლენა კუთრი მწარმოებლურობის პირველ W_d მდგენელზე.

სატვირთო გადაზიდვებისას ავტომობილის მუშაობის რეჟიმების ფორმირებაზე და, შესაბამისად, მისი ეფექტურობის განმსაზღვრელ პარამეტრებზე გზის გრძივი და განივი პროფილის ელემენტების ზემოქმედება მუდმივად იცვლება და ატარებს შემთხვევით ხასიათს. საავტომობილო გზებს ადგილმდებარეობის რელიეფის მიხედვით ყოფენ: გაკე, ბორცვიანი და მთიანი რელიეფის გზებად. მოცემული რელიეფის

გზებზე გზის გრძივი და განივი პროფილის ერთიდაიგივე ელემენტები მეორდებიან გარკვეული სიხშირით. დაკვირვებებმა გვიჩვენა, რომ



ნახ.1. სამოდელო გზის გრძივი ქანობების დახრილობათა i_s განაწილების სიხშირის პისტოგრამა ა) ქანობის სიდიდის მიხედვით F_i ; ბ) ქანობის სიგრძის მიხედვით F_l ; ქანის დახრილობის საშუალო მატემატიკური მოლოდინი $m_{is}=23\%$.




ნახ.2. სამოდელო გზაზე მოხახვეების რადიუსების R მნიშვნელობების დოხედვით განაწილების პისტოგრამა F_R

მოცემული რეგიონის გზების ან საგზაო ქსელისათვის შეიძლება მოიძებნოს გზის ისეთი მონაკვეთი, რომელიც შეიცავს გრძივი და განივი პროფილის ყველა ელემენტებს ისეთივე მათემატიკური მოლოდინით და განაწილებით, როგორც მთლიანი გზა ან საგზაო ქსელი. გზის ასეთ მონაკვეთს უწოდებენ საგზაო ქსელის **სამოდელო** (მახასიათებელ) გზას, ვინაიდან მისი გრძივი და განივი პროფილის ელემენტების პარამეტრები ექვივალენტურია მთლიანი საგზაო ქსელის პარამეტრების, და ისეთივე გავლენას ახდენს ასე-ს მუშაობის მაჩვენებლებზე, როგორსაც მოცემული რეგიონის მთლიანი საგზაო ქსელი. ამიტომ, სადისერტაციო ნაშრომში, საქართველოს საგზაო პირობების სატვირთო ასე-ს კუთრი სიმძლავრის და მისი მუშაობის ეფექტიანობის შემფასებელი პარამეტრების მნიშვნელობებზე გავლენის კვლევაში გამოვიყენეთ საქართველოს მაგისტრალური საავტომობილო საგზაო ქსელის სამოდელო გზის გრძივი და განივი პროფილის ელემენტების ნახ.1 ა), ბ) და ნახ.2-ზე წარმოდგენილი მონაცემები.


ავტომობილის მოძრაობის სიჩქარეები გზის ცალკეულ მონაკვეთებზე შეზღუდულია მოძრაობის უსაფრთხოების ან კომფორტულობის უზრუნველყოფის პირობებით; ამიტომ ავტომობილის მოძრაობის მოდელირებისას კომპიუტერში გზის გრძივი და განივი პროფილის ელემენტების პარამეტრების მნიშვნელობებთან ერთად შეგვავს სამოდელო გზის ცლკეულ მონაკვეთებზე მოძრაობის დასაშვები სიჩქარეების გრაფიკი, რომელშიც ჩაეწერება მოძრაობის რეალური სიჩქარეები და აიგება ავტომობილის მოძრაობის სიჩქარეთა ეპიურა. ნახ.3-ზე ნაჩვენებია სამოდელო გზის მონაკვეთზე ავტომობილის მოძრაობის დასაშვები სიჩქარეების გრფიკის (1) და ამავე მონაკვეთზე სატვირთო ავტომობილის მოძრაობის სიჩქარეთა ეპიურის (2) ფრაგმენტები. უკანასკნელი ჩაწერილია დასაშვები სიჩქარეების გრაფიკში.

იმისათვის, რომ გადაზიდვებისას სატვირთო ასე-მ არ შეაფერხოს სატრანსპორტო ნაკადის მოძრაობა და ეს მოთხოვნა გათვალისწინებული იქნას მისი კუთრი სიმძლავრის რაციონალური სიდიდის დადგენისას, ჩვენს მიერ გამოკვლეული იქნა სატრანსპორტო ნაკადების სიჩქარეები საქართველოს გზებზე ნაკადის სხვადასხვა

ინტენსიურობებისას. გამოკვლევის შედეგების მიხედვით აგებული სატრანსპორტო ნაკადების სიჩქარეების გრაფიკი ნაჩვენებია ნახ. 3-ზე.



ნახ.3. სამოდელო გზის მონაკვეთზე ავტომობილის მოძრაობის დახაშვები სიჩქარეების გრაფიკის (1) და ამავე მონაკვეთზე სატრანსპორტო ავტომობილის მოძრაობის სიჩქარეთა გაიურის (2) ფრაგმენტები



ნახ.4. სატრანსპორტო ნაკადების სიჩქარეების (V) დამოკიდებულება ნაკადების ინტენსიურობისაგან (N_a) საჭართველოს ვაკე (1) და ბორცვიან (2) გზებზე

ზემოთ მოტანილ მახასიათებლებზე დაყრდნობით, სატვირთო ასს-ს გზაზე მოძრაობის სიჩქარეთა გრაფიკის აგებისას ქვემოთ დამუშავებული მათემატიკური მოდელი ითვალისწინებს პირობას, რომ სატრანსპორტო ნაკადებში მან უნდა შეძლოს ნაკადის სიჩქარით მოძრაობა. ავტომობილის მოძრაობის საშუალო V_t სიჩქარის და საწვავის საგზაო Q_s ხარჯის სამოდელო გზაზე ასს-ს მოძრაობის მათემატიკური მოდელირებით განსაზღვრისას ასევე ვითვალისწინებთ, რომ გზაზე ავტომობილის მოძრაობა ზოგადად მოიცავს შემდეგ სამ რეჟიმს: გაქანება, დამყარებული სიჩქარით მოძრაობა და შენელება. მათემატიკური მოდელი კომპიუტერის გამოყენებით აღწერს გზაზე ავტომობილის მოძრაობის სამივე რეალურ რეჟიმს მათი ერთმანეთოან გარდამავალი პროცესების უწყვეტი მონაცემლებით.

სამოდელო გზაზე ასს-ს მოძრაობის პროცესის ჩვენს მიერ შემუშავებულ მათემატიკური მოდელი დაფუძნებულია ავტომობილების თეორიაში ცნობილ მოძრაობის დიფერენციალური განტოლებაზე. სადისერტაციო ნაშრომში იგი ტრანსფორმირებულია სატრანსპორტო ნაკადებში რეალური საგზაო პირობებისა და ტრანსმისიის სხვადასხვა საფეხურებზე ძრავას გარდამავალ სადატვირთო რეჟიმებზე მუშაობის და კომპიუტერზე ცნობილი „AUTOCR“ პროგრამის გამოყენებით ამოხსნის შესაძლებლობის გათვალისწინებით.

აღნიშნულის შესაბამისად ასს-ს მოძრაობის განტოლებას აქვს შემდეგი სახე:

$$\frac{dV}{dt} = A_1 + A_2 V + A_3 V^2 \mp A_4 \cdot i_s , \quad (4)$$

სადაც: $A_1 = (a_7 a_1 - a_8)$; $A_2 = (a_7 a_2 - a_9)$; $A_3 = (a_7 a_3 - a_{10})$; $A_4 = A_{11}$; a_1, a_2, a_3 – $\alpha\%$ -ით ნაწილობრივი სადატვირთო რეჟიმზე ძრავის გაბრუნი მომენტის $M(\alpha, n)$ მახასიათებლის აპროქსიმაციის კოეფიციენტებია; ნიშანი „+“ აიღება ასს-ს აღმართზე მოძრაობისას, ხოლო „–“ დაღმართზე მოძრაობისას.

$$a_7 = \frac{U_t^2 U_0^2 \eta_t}{r_0^2}; \quad a_8 = -\frac{U_t U_0 g a_4}{G_a \delta r_0}; \quad a_9 = \frac{a_5 g}{G_a \delta r_0}; \quad a_{10} = \frac{a_6 g r_0}{G_a \delta U_t}; \quad a_{11} = \frac{g U_t U_0}{\delta r_0};$$

$$\sin \alpha = i_s$$

a_4, a_5, a_6 – ავტომობილის მოძრაობის გორგის და ჰაერის წინააღმდეგობების ჯამურ ძალასა და სიჩქარეს შორის დამოკიდებულების მეორე ხარისხის პოლინიმით აპროქსიმაციის კოეფიციენტები. V_t – ავტომობილის მოძრაობის ტექნიკური სიჩქარე, კმ/სთ; U_t – გადაცემათა კოლოფის ტრანსმისიის საფეხურის გადაცემათა რიცხვი; U_θ – მთავარი გადაცემის გადაცემათა რიცხვი; r_θ – თვლების ბუქსაობის გარეშე გორგის რადიუსი, მ; η_t – ტრანსმისიის მ.ქ.კ.; $M(\alpha, n)$ – ძრავას მუხლა ლილვის მიერ განვითარებული მაბრუნი მომენტის მიმდინარე მნიშვნელობები სხვადასხვა დატვირთვებზე და ბრუნვის სისმირეზე, ნმ; G_a – სრული წონა, კგ; f – თვლების გორგის წინააღმდეგობის კოეფიციენტი; A_S – შუბლის ფართი, მ²; C_x – გარსედინობის კოეფიციენტი; ρ – ჰაერის სიმკვრივე, კგ/მ³; δ – მბრუნავი მასების გამოვალისწინებული კოეფიციენტი;

განტოლება (4) არის არაწრფივი დიფერენციალური განტოლება, რომლის კომპიუტერზე ამოსახსნელად შეიძლება გამოვიყენოთ ეილერის, რუნგ-კუტას ან ეილერ-კოშის მეთოდი; ჩვენს მიერ გამოყენებულია ეილერ-კოშის სრულყოფილი მეთოდი. ამ მეთოდის გათვალისწინებით მოდელირებისას კომპიუტერზე ამოსახსნელი ავტომობილის მოძრაობის დიფერენციალური განტოლება ჩაიწერება შემდეგი სახით:

$$V_{i+1} = V_{ti} + H \cdot (A_1 + A_2 V_i + A_3 V_i^2 \mp A_4 \cdot i_s), \quad (5)$$

სადაც, H – განტოლების ამოხსნის ბიჯია, წმ.

ავტომობილის დამყარებული სიჩქარით გზაზე მოძრაობის კომპიუტერზე მოდელირებისას (4) განტოლების მარცხნა მხარე, აჩქარება გაუტოლდება ნოლს $\frac{dV}{dt} = 0$ და ასე-ს მოძრაობის განტოლება მიიღებს მოძრაობის სიჩქარის მიმართ კვადრატული განტოლების სახეს, რომლის კომპიუტერზე ამოხსნის დადგებითი ფესვი შეესაბამება გზის


შესაბამის მონაკვეთზე ასს-ს მოძრაობის სიჩქარეს.

ავტომობილის გზაზე მოძრაობის შენელების კომპიუტერით მოდელირებისას (4) განტოლების მარცხენა მხარე მიიღებს უარყოფით ნიშანს. ამავე დროს გითვალისწინებულია, რომ შენელება შეიძლება განხორციელდეს თვლების დამუხრუჭებით, ძრავათი დამუხრუჭებით და ორივე ხერხის ერთდროულად გამოყენებით. უკანასკნელი სატრანსპორტო ნაკადებში მოძრაობისას უფრო ხშირად გამოიყენება. საექსპლუატაციო პირობებში დამუხრუჭებისას ავტომობილის მოძრაობის შენელება მიმდინარეობს $\frac{dV}{dt} = - (1...2) \cdot \theta / \dot{\theta}^2$ სიდიდით. ისევე, როგორც ავტომობილის გაქანების მოდელირებისას, ორივე ზემოთ განხილულ შემთხვევაში, (4) განტოლება კომპიუტერზე ამოიხსნება ეილერ-კოშის სრულყოფილი ციფრული მეთოდით. ასს-ს კომპიუტერზე მოდელირებისას, ავტომობილის სამივე რეჟიმზე მოძრაობის პროცესების აღმწერ განტოლებებში შეიტანება საგზაო და სატრანსპორტო პირობების მაჩვენებელი პარამეტრების სიდიდეები სამოდელო გზაზე მოძრაობის მთელ მანძილზე მოძრაობის მიხედვით. გარდა აღნიშნულისა, კომპიუტერში მასივების სახით შეგვაქვს (4) განტოლებაში შემავალი ასს-ს კონსტრუქციული პარამეტრების და ძრავის სადატვირთო მახასიათებლების სიდიდეები. ავტომობილის მოძრაობის პროცესის კოპმპიუტერზე მოდელირების ბლოკ-სქემა ნაჩვენებია ნახ. 5-ზე.

მოდელირებისას ვითვალისწინებთ, რომ ავტომობილების რეალურ პირობებში მუშაობის რეჟიმების შესაბამისად, სატვირთო ავტომობილებში გაქანების რეჟიმზე დროის H ბიჯის განმავლობაში ძრავში სწვავის მიმწოდებელი ორგანო გადაადგილდება სრული სვლის 10–12%-ით; ამიტომ ავტომობილის მოძრაობის განტოლების ამოხსნისას კომპიუტერი, ყოველი H ბიჯით (4) განტოლების ამოხსნის (იტერაციის) შემდეგ, გადადის ძრავას შემდგომი ნაწილობრივი მუშა სადატვირთვო მახასიათებელზე (4) განტოლების ამოხსნაზე, გადაადგილების 10%-იანი ბიჯით; ძრავას მუშაობის გარე მახასიათებლის მიღწევის შემდეგ, გაქანების პარმეტრების მნიშვნელობების გაანგარიშება გრძელდება ამ მახასიათებლით; ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაქანებისას

ავტომობილის ძრავას მუშაობის სადატვირთვო რეჟიმების
ცვალებადობა კომპიუტერში შეიძლება აგსახოთ განტოლებით:

$$\alpha = \alpha_0 + 10 \cdot H, \% \quad (6)$$



ნახ. 5 ავტომობილის მოძრაობის პროცესის კომპიუტერზე მოდელირების
ძლიერებები

სადაც: α – ძრავის დატვირთვაა %;-ში; α_0 – გაქანების საწყის მომენტში ძრავის დატვირთვა %;-ში, რომელიც განისაზღვრება გაქანების წინა დამყარებულ რეჟიმზე მოძრაობის წინააღმდეგობის დაძლევაზე დახარჯული სიმძლავრის მნიშვნელობის მიხედვით; ცხადია, კომპიუტერზე ავტომობილის გაქანების პროცესის მოდელირებისას, დაცული უნდა იქნეს პირობა: $\alpha < 100\%$. ძრავის დატვირთვა ასეს-ს დამყარებული რეჟიმით მოძრაობისას დადგინდება სიჩქარის შესაბამისი მოძრაობის წინააღმდეგობის დაძლევაზე დახარჯული სიმძლავრის მნიშვნელობის მიხედვით; ასეს-ს შენელებისას ძრავის სადატვირთო რეჟიმის დადგენისას მოძრაობის მოდელირების პროგრამა ითვალისწინებს გზის გრძივი პროფილის დახრილობით გამოწვეული ასეს-ზე მოქმედი ძალების შესაბამის სიმძლვრის მნიშვნელობებს.

ავტომობილის სამოდელო გზაზე მოძრაობის კომპიუტერზე მოდელირებისას გადაცემათა კოლოფში გდაცემათა საფეხურების გადართვა ხდება ავტომობილის საუკეთესო დინამიკურობის მიღწევის პირობით, კერძოდ, როგორც ცნობილია, მაღალ საფეხურებზე გადართვა უმჯობესია ძრავის მუხლა ლილვის $n_e = n_p$ ბრუნვის სიხშირეზე, ხოლო დაბალ საფეხურებზე ძრავის $n_e = (n_m + n_p)/2$ ბრუნვის სიხშირეზე, სადაც n_p – ძრავის მაქსიმალური სიმძლავრის ბრუნვის სიხშირეა, n_m – ძრავის მაქსიმალური მაბრუნი მომენტის შესაბამისი ბრუნვის სიხშირე. საფეხურის გადართვის შემდეგ კომპიუტერი ამოხსნის ავტომობილის მოძრაობის განტოლებას გადაცემათა კოლოფის ახალ საფეხურზე ძრავის ბრუნვის სიხშირის შემდეგ მნიშვნელობისას:

$$n_m = n_{m0} \cdot U_m / U_{m-1}, \quad (7)$$

სადაც n_{m0} – ახალ საფეხურზე გადაცემათა კოლოფის პირველადი ლილვის ბრუნვის სიხშირეა; U_{m-1} – გადაცემათა რიცხვი წინა საფეხურზე; U_m – გადაცემათა რიცხვი მომდევნო საფეხურზე; n_m – გადაცემათა კოლოფის პირველადი ლილვის ბრუნვის სიხშირე წინა საფეხურის გამორთვის მომენტში. კომპიუტერული მოდელი, გზაზე ავტომობილის მოძრაობის განტოლების ამოხსნით მიღებული სიჩქარის

ყოველი მიმდინარე V_{ti} მნიშვნელობის შემდეგ, ადარებს მას განვლილი მანძილის მიხედვით გზის შესაბამის მონაკვეთზე ავტომობილის მოძრაობის დასაშვები სიჩქარის V_e მნიშვნელობას (ნახ.3). ამ შედარების საფუძველზე კომპიუტერი განსაზღვრავს ასე-ს მოძრაობის რეჟიმს: თუ $V_{ti} < V_e$ – გაქანებაა; თუ $V_{ti} = V_e$ – დამყარებული მოძრაობაა და თუ $V_{ti} > V_e$ – შენელებაა. ასევე, ასე-ს განვლილი მანძილის S_a მნიშვნელობის შედარებით სამოდელო გზის გრძივი ქანობების განლაგების მანძილებთან S_n , კომპიუტერი დაადგენს მოძრაობის განტოლების ამონენისას შეასბამისი ქანობის დახრილობის i_s სიდიდეს.


ავტომობილის მოძრაობის აღნიშნული მათემატიკური მოდელის რეალურ პროცესთან ადექვატურობის შემოწმების მიზნით, „მერსედეს-ბენც აქტროსი 1853“ და „მაზ-6422“ მარკის ავტომატარებლების პორიზონტალურ ასფალტებონის საფარიან გზის მონაკვეთზე გაქანების პარამეტრების რეალურად გაზომილი მნიშვნოლებები შედარებული იქნა კომპიუტერით გამოთვლილ შედეგებთან. ავტომობილების გაქანების დროის გაზომვა ხდებოდა გადაცემათა კოლოფის პირველ საფეხურზე მაქსიმალური სიჩქარის მნიშვნელობიდან – $V_0=5\text{მ}/\text{ს}$ სიჩქარეთა საფეხურების გადართვით $V=80 \text{ კმ}/\text{ს}$ სიჩქარემდე გაქანებით.

მაგალითისათვის, ავტომობილ „მაზ 6422“-ის გაქანების დროის ექსპრიმენტების გზით დადგენის შედეგები, მოტანილია ცხრ. 1-ში.

ცხრილი 1. ავტომობილის „მაზ 6422“ 80 კმ/ს-ზე გაქანების დროის განსაზღვრის სიზუსტე

გაზომვის რაოდ.: n	1	2	3	4	5	6	7
t	89	88	93	94	87	96	92
გადახრა საშუალო არითმეტიკული მნიშვნელობიდან							
გაზომვის რაოდ.: n	1	2	3	4	5	6	7
$/m - t/$	1	3	2	3	4	5	1
გადახრების კვადრატები და მათი ჯამი							
გაზომვის რაოდ.: n	1	2	3	4	5	6	7
$/m-t/^2$	1	9	4	9	16	25	1

გაზომვების აუცილებელი რაოდენობის დადგენა ხდებოდა მაჩვენებლების სიზუსტის შეფასების საშუალო პვალრატული გადახრების მეთოდით. ექსპერიმენტის შედეგების სიზუსტის მაჩვენებელი უნდა იმყოფებოდეს 5%-ის ზღვრებში. შესაბამისად, გაზომვების სჭირო რაოდენობამ დასახული სიზუსტის უზრუნველსაყოფად ჩატარებული გაანგარიშებათა თანახმად, შეადგინა 7 გაზომვა.



ნახ.6. ავტომატარებლ „მაზ 6422“-ის გაქანების მახასიათებელი 80 კმ/სთ სიჩქარეზე: 1 – კომპიუტერული მოდელირებით მიღებული; 2 – ექსპერიმენტებით მიღებული

ექსპერიმენტული და მოდელირებით მიღებული შედეგების სიზუსტეზე შედარებამ გვიჩვენა, რომ ჩვენს მიერ შემუშავებული ასს-ს გაქანების მოდელი გაანგარიშებებისათვის საკმარისი სიზუსტით (ფარდობითი ცდომილება არ აღემატება 5%) ასახავს რეალურ პროცესს, რაც კარგად ჩანს ნახ.6-დან.

ამგვარად, ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით რეალიზებული ავტომობილის მოძრაობის კომპიუტერული მოდელირებით განისაზღვრება ასს-ს სამოდელო გზაზე მოძრაობის სიჩქარის V_{ti} და განვლილი მანძილის S_{ai} მიმდინარე მნიშვნელობები, რომელთა მიხედვით აიგება სიჩქარეთა ეპიურა (ნახ.3). ამ მონაცემების ინტეგრირებით კი ხდება საქართველოს საგზაო პირობებში ასს-ს

მუშაობის ეფექტიანობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარამეტრების – მოძრაობის საშუალო ტექნიკური სიჩქარის V_t და განვლილი მანძილის S_a მნიშვნელობების (ტოლია სამოდელო გზის სიგრძის) დადგენა.

ასე-ს მუშაობის ეფექტიანობის განმსაზღვრელი მეორე მნიშვნელოვანი პარამეტრის – ავტომობილის საწვავის საგზაო ხარჯის მიმდინარე Q_s მნიშვნელობების გამოსათვლელად, კომპიუტერულ მოდელში ხდება შემდეგი ფორმულის შეტანა:

$$Q_{si} = \frac{P_{ei} \cdot g_{ei}}{1000 \cdot V_{ti}} , \quad (8)$$

სადაც: P_{ei} – ასე-ს ძრავის მიერ განვითარებული სიმძლავრის (კვტ), g_{ei} – ძრავის საწვავის კუთრი ხარჯის (გრ/კვტ.სო), V_{ti} – მოძრაობის საშუალო ტექნიკური სიჩქარის (კმ/სო) მიმდინარე მნიშვნელობებია.

ასე-ს ძრავის მიერ განვითარებული სიმძლავრის მნიშვნელობის განსაზღვრისათვის, გსარგებლობთ ავტომობილების თეორიაში ცნობილი შემდეგი ფორმულით:

$$P_{ei} = \frac{f_0 [1 + (0,0216 \cdot V_{ti})^2] G_a V_{ti}}{1000 \cdot \eta_m} + \frac{K_s \cdot A_s \cdot V_{ti}^3}{1000 \cdot \eta_m} \mp \frac{G_a \cdot i_s \cdot V_{ti}}{1000 \cdot \eta_m} , \quad (9)$$

სადაც, V_{ti} – ავტომობილის მოძრაობის სიჩქარეთა მიმდინარე მნიშვნელობებია; K_s – ავტომობილის გარსედინობის კოეფიციენტი; f_0 – თვლების გორგის წინააღმდეგობის კოეფიციენტი დაბალ სიჩქარეებზე. დანარჩენი სიდიდეები განმარტებულია (4) ფორმულაში. ნიშანი „+“ აიღება აღმართზე, ხოლო ნიშანი „-“ დაღმართზე მოძრაობისათვის.



ასე-ს ძრავის საწვავის კუთრი ხარჯის მნიშვნელობები აიღება კომპიუტერზე მოძრაობის მოდელში შტანილი ძრავის სადატვირთვო მახასიათებლებიდან ასე-ს ძრავის მიერ განვითარებული სიმძლავრის P_{ei} და მოძრაობის საშუალო ტექნიკური სიჩქარის V_{ti} მნიშვნელობების მიხევით. ამ მონაცემებით კომპიუტერი გამოთვლის საწვავის საგზაო ხარჯის მიმდინარე მნიშვნელობებს და ეპიურას, რომლის ინტეგრირებით განისაზღვრება საწვავის საგზაო ხარჯის სიდიდე.

მოძრაობის საშუალო ტექნიკური სიჩქარის V_t და საწვავის საგზაო ხარჯის Q_s მნიშვნელობების ჩასმით კუთრი მწარმოებლურობის განმსაზღვრელ (2) ფორმულაში, კომპიუტერი გამოთვლის ასე-ს კუთრი მწარმოებლურობის W_d მდგენელის სიდიდეს.

კომპიუტერული მოდელირებით მიღებული შედეგების რეალურთან ადეკვატურობის შეფასების მიზნით, ისინი შედარებული იქნა გზის სამოდელო მონაკვეთზე (გორი-ხაშურის გზის) სატვირთო ავტომობილების „მერსედეს-ბენც აქტროს-1853"-ის და „მაზ-6422"-ის მოძრაობის საშუალო სიჩქარის V_t და საწვავის საგზაო ხარჯის Q_s გაზომვით მიღებულ მნიშვნელობებთან. შედარებით დადგინდა, რომ მათ შორის სხვაობა არ აღემატება 8...10%-ს, რაც პრაქტიკული გაანგარიშებებისათვის მისაღებია და იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენს მიერ დამუშავებული ავტომობილის მოძრაობის მათემატიკური მოდელი და შესაბამისი კომპიუტერული პროგრამა ვარგისია პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად.

საქართველოს საგზაო პირობებში სატვირთო ასე-ს მუშაობის ეფექტიანობაზე მისი კუთრი სიმძლავრის გავლენის შესწავლის მიზნით ჩვენს მიერ დამუშავებული მათემატიკური მოდელის გამოყენებით გამოკვლეული იქნა საქართველოში გავრცელებული სატვირთო ავტომატარებლების – „მაზ-6422“ და „მერსედეს-ბენც აქტროსი-1853“ სამოდელო გზაზე მოძრაობის საშუალო სიჩქარის V_t , საწვავის საგზაო ხარჯის Q_s და კუთრი მწარმოებლურობის W_d მდგენელის დამოკიდებულება კუთრი სიმძლავრისაგან P_s , რის შედეგებიც ნაჩვენებია ნახ.7-ზე.

ნახ.7 – დან ჩანს, რომ ავტომობილის კუთრი სიმძლავრის P_s გაზრდით ასე-ს მოძრაობის საშუალო სიჩქარე V_t იზრდება დასაწყისში ჩქარი ტემპით, ხოლო მისი გარკვეული მნიშვნელობის შემდეგ დასაშვები სიჩქარეებით შეზღუდვის გამო, V_t ზრდის ტემპი ნელდება და ბოლოს საშუალო სიჩქარის მნიშვნელობა პრაქტიკულად მუდმივი ხდება. საწვავის საგზაო ხარჯის Q_s მიშვნელობა კუთრი სიმძლავრის გაზრდისას თავდაპირველად კლებულობს, მინიმუმის მიღწევის შემდეგ კი თანდათანობით მზარდი ტემპით მატულობს.



ნახ.7. სატეიროო ავტომატურებლების – “გაზ-6422” (σ) და “გერსეგლებ-ბენც აქტორს – 1853” (δ) სამოდელო გზაზე მოძრაობის საშუალო სიჩქარის V_t , საწვავის საგზაო ხარჯის Q_s და კუთრი მწარმოებლურობის მდგენელის W_d დამოკიდებულება ავტომობილის კუთრი სიმძლავრისაგან P_s

ავტომობილის W_d კუთრი მწარმოებლურობის კუთრი
სიმძლავრისაგან P_s დამოკიდებულებით ცვალებადობის ხასიათი მისი

საშუალო სიჩქარის V_t და საწვავის საგზაო ხარჯის Q_s ცვალებადობის ხასიათითაა განპირობებული და იგი მაქსუმუმს აღწევს კუთრი სიმძლავრის იმ მნიშვნელობებზე, რომელზეც საწვავის საგზაო ხარჯი Q_s დაახლოებით მინიმალურია, ხოლო მოძრაობის საშუალო სიჩქარე V_t ჯერ კიდევ მატულობს.

ჩატარებული კვლევების საფუძველზე დადგენილი იქნა, რომ საქართველოს მთაგორიანი რელიეფის მქონე საგზაო პირობებში N_2 კატეგორიის III და IV კლასის სატვირთო ასს-თვის კუთრი სიმძლავრის რაციონალური მნიშვნელობა შეადგენს $P_s=12,5\ldots13,0$ კვტ/ტ-ს, ხოლო N_3 კატეგორიის V, VI და VII კლასის ასს-ს კუთრი სიმძლავრე $P_s=7,5\ldots8,0$ კვტ/ტ-ს; კუთრი სიმძლავრეების ამ მნიშვნელობებზე ავტოსატრანსპორტო საშუალების კუთრი მწარმოებლურობა აღწევს მაქსიმუმს, ხოლო გადაზიდვებზე საწვავის დანახარჯების და, შესაბამისად, ეკოგარემოს გამონაბოლქვი აირებით დატუჭყიანება მინიმალურია.

სატვირთო ავტომობილების კუთრი სიმძლავრეების ჩვენს მიერ მიღებული რაციონალური სარეკომენდაციო მნიშვნელობები გათვალისწინებული უნდა იქნეს საქართველოში გადამზიდავების მიერ სატვირთო ავტომობილების შეძენისას და მათ საფუძველზე სატვირთო საავტომობილო პარკის ფორმირებისას, რაც საბოლოო ჯამში იძლევა საქართველოში სატვირთო საავტომობილო გადაზიდვების ეფექტიანობის 15–20%-ით გაზრდის შესაძლებლობას.

ამასთანავე რაციონალური კუთრი სიმძლავრეების მიხედვით ასს-ს შერჩევისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ასს-ს დერძზე მოსული დატვირთვები და გზის მზიდუნარიანობის დადგენილი ნორმები, რომლის მიხედვიდაც ასს-ები იყოფიან “ა” და “ბ” ჯგუფებად. “ა” ჯგუფის ასს-ის დერძზე მოსული დასაშვები დატვირთვა არ აღემატება 10 ტონას, ხოლო “ბ” ჯგუფის ასს-სათვის – 6 ტონას.

ასს-ს მოძრაობის სხვადასხვა საგზაო და სატრანსპორტო პირობებში მაღალი ეფექტიანობით მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით, დამამზადებული ქარხნები ითვალისწინებენ მათ ექსპლუატაციას ძრავის მაქსიმალური სიმძლავრის სხვადასხვა მნიშვნელობებით. მაგალითად, “შერსედეს-ბენც აქტროს-1853” მარკის სატვირთო ასს გამოდის

ავტომობილის და ორი და სამღერძიანი ავტომობილ-გამწის სახით, რომელთა ნომინალური ტკირთმზიდაობა, ძრავის მაქსიმალური სიმძლავრის ექვსი სხვადასხვა მნიშვნელობისას, შეადგენს 40 ტ-ს.

ჩვენი კვლევების თანახმად, კუთრი სიმძლავრის რაციონალური მნიშვნელობისას – $P_{sr}=7,5$ კვტ/ტ, საქართველოს და მისი მსგავსი მთაგორიან რელიეფიანი ქავნების გზებზე „მერსედეს-ბენც აქტროს-1853”-ის ტიპის ასს-ზე რაციონალური იქნება $N_{emax}=315$ კვტ სიდიდის მაქსიმალური სიმძლავრის მქონე ძრავის გამოყენება.

თუ დამამზადებელი ქარხანა არ ითვალისწინებს მოცემული ტკირთმზიდაობის ასს-ზე სხვადასხვა მაქსიმალური სიმძლავრიანი N_{emax} ძრავის გამოყენებას, მაშინ ასეთი ასს-ს მუშაობის მაღალი ეფექტიანობისათვის რაციონალური კუთრი სიმძლავრის P_{sr} მისაღწევად, საჭიროა შევირჩიოთ ასს-ს შესაბამისი q_r ტკირთმზიდაობა. მაგალითად, საქართველოს საგზაო პირობებში გადაზიდვების მაღალი ეფექტიანობა მიიღწევა თუ ავტომატარებლის “მაზ-6422” რაციონალური კუთრი სიმძლავრისას $P_{sr}=7,5$ კვტ/ტ, სერიული ძრავის შემთხვევაში ($N_{emax}=235$ კვტ)-ტკირთმზიდაობა იქნება $q_r=20$ ტ, ხოლო “მაზ-6422” ავტომატარებელის ნომინალური ტკირთმზიდაობის $q_r=28$ ტ შენარჩუნების შემთხვევაში, მასზე უნდა დაყენდეს $N_{emax}=315$ კვტ მაქსიმალური სიმძლავრიანი ძრავი.

ამრიგად, ჩვენს მიერ შემუშავებული მეთოდი საშუალებას იძლევა ასს-ს ძრავის მაქსიმალური სიმძლავრის მიხედვით განისაზღროს მისი რაციონალური ტკირთმზიდაობა ან ასს-ს დასაშვები მაქსიმალური ტკირთმზიდაობის მიხედვით განისაზღროს მისი ძრავის მაქსიმალური სიმძლავრის რაციონალური მნიშვნელობა. ორივე შემთხვევაში მიიღწევა საავტომობილო პარკის მუშაობის მაღალი ეფექტიანობა.

მეხამე თავში მოცემულია ნაშრომის ფარგლებში შესრულებული კვლევების შედეგების ეკონომიკური და ეკოლოგიური ეფექტების შეფასება.

საქართველოში საავტომობილო სატკირთო გადაზიდვებისას, ჩვენი კვლევის შედეგების გამოყენების შემთხვევაში მოსალოდნელი საანგარიშო ეკონომიკური ეფექტი შემდეგია:


„მაზ-6422“ მარკის ავტომატარებლის მიერ შესრულებული 1 მლნ.ტ.კმ სამუშაოს დირებულება მცირდება დაახლოებით 1450 ლარით, ხოლო „მერსედეს-ბენც აქტროს-1853“ მარკის ავტომატარებლისათვის დაახლოებით – 1000 ლარით.

რადგანაც კუთრი სიმძლავრის რაციონალური მნიშვნელობები უზრუნველყოფენ ავტომატარებლების ძრავის მუშაობას საწვავის მინიმალური კუთრი და საგზაო ხარჯების დიაპაზონებში, შესაბამისი ეპოლოგიური ეფექტიანობის დადგენის მიზნით ჩატარებული იქნა ძრავის გამონაბოლქვა აირებში ნახშირჟანგის – *CO*-ს შემცველობის ასეს კუთრი სიმძლავრისაგან დამოკიდებულების გამოკვლევა ანალიზური მეთოდით:

$$g_{co} = \frac{2,78 \cdot B \cdot V_h \cdot n_e \cdot \eta_v \cdot \rho_{co} \cdot (1 + 12,9 \cdot (1 - \alpha_T) + 48,3 \cdot (1 - \alpha_T)^2)}{V_t}, \quad (10)$$

სადაც, g_{co} – *CO*-ს შემცველობაა გამონაბოლქვა აირებში, გრ/კმ; Q_o – გამონაბოლქვი აირების მოცულობითი რაოდენობა, გ³; ρ_{co} – ნახშირჟანგის სიმკვრივე და ნორმალურ პირობებში უდრის 1,25 კგ/გ³; V_t – ავტომობილის მოძრაობის სიჩქარე; V_h – ძრავის ლიტრაჟი, ლ; η_v – ძრავის ცილინდრების შევსების კოეფიციენტი; n_e – მუხლა ლილვის ბრუნვის სიხშირე, ბრ/წთ; B – ემპირიული კოეფიციენტი (დიზელის ძრავებისათვის $B = 0,0004$); α_T – საწვავ ნარევში ჰაერის სიჭარბის კოეფიციენტი.

როგორც ნახ.8-დან ჩანს, ავტომატარებელ „მაზ 6422“-სათვის რაციონალური კუთრი სიმძლავრის ($P_{sr}=7,5$ კვტ/ტ) რეალიზების შემთხვევაში, გამონაბოლქვა აირებში *CO* -ს მოცულობითი რაოდენობა შემცირდება დაახლოებით 5%-ით.



ნახ.8. დოზელის ძრავიანი ავტომატარეგბლის „მაზ 6422“-ის გამონაბოლებულ აირეგბლის CO-ს მოცულობითი რაოდენობის შემცირების დამოკიდებულება ავტომობილის ძუთრი სიმძლავრისა (P_s) და შესაბამისი მოძრაობის ხაშუალო სიჩქარისაგან (V_t)

პირითადი დასკვნები

1. სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული გამოკვლევებით დადგენილი იქნა, რომ საქართველოში სატვირთო საავტომობილო სატრანსპორტო სისტემას გააჩნია მნიშვნელოვანი რეზერვი გდაზიდვების ეფექტიანობის ასამაღლებლად, რისი რეალიზებაც მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული ასე-ს კუთრი სიმძლავრის მოძრაობის პირობებთან ადაპტირების ხარისხზე. ადაპტირების ხარისხის გაზრდა უზრუნველყოფს მოძრაობის საშუალო სიჩქარის და მწარმოებლურობის ამაღლებას საწვავის და სხვა მატერიალური საშუალებების მინიმალური დანახარჯებით, რაც

საბოლოო ჯამში იძლევა საქართველოში სატვირთო სააგრტომობილო გადაზიდვების ეფექტიანობის 15–20%-ით გაზრდის შესაძლებლობას.

2. სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებების მუშაობის ეფექტიანობის შემფასებელი პარამეტრების შედარებითი ანლიზის შედეგად დასაბუთებულია, რომ საქართველოს საგზაო საექსპლუატაციო პირობებში სატვირთო გადაზიდვებისას ასე-ს მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების მთავარი ფაქტორია კუთრი სიმძლავრის რაციონალური მნიშვნელობა, რომელიც, ასე-ს საექსპლუატაციო თვისებების სრულად რეალიზების პირობებში, უზრუნველყოფს ტვირთის გადაზიდვის მაქსიმალურ კუთრ მწარმოებლურობას .

3. დამუშავებულია მთემატიკური მოდელი, რომელიც ასე-ს კუთრი მწარმოებლურობის განმსაზღვრელი პარამეტრების – მოძრაობის საშუალო სიჩქარის და საწვავის საგზაო ხარჯის გაანგარიშების კომპიუტერზე რეალიზებისას, არსებულისაგან განსხვავებით, ითვალისწინებს ასე-ს მოძრაობის რეალური პირობების შესაბამისად გზის გრძივი და განივი პროფილის ელემენტების და სატრანსპორტო ნაკადების პარამეტრების ცვალებადობას; ძრავის ნაწილობრივ და ცვალებად სადატვირთო რეჟიმებზე მუშაობას; ასე-ს ტრანზისის საფეხურის გადართვის გარდამავალ პროცესს.

4. დამუშავებულია ასე-ს კუთრი სიმძლავრის რაციონალური მნიშვნელობის განსაზღვრის მეთოდი, რომლის შემფასებელი კრიტერიუმის – კუთრი მწარმოებლურობის საანგარიშო ფორმულაში გათვალისწინებულია კუთრი სიმძლავრისაგან დამოკიდებულებით ასე-ს საკუთარი წონის ცვალებადობის კანონზომიერება.

5. საქართველოს საგზაო პირობებისათვის დადგენილია, რომ N_2 კატეგორიის III და IV კლასის საშუალო ტვირთმზიდაობის ასე-ს კუთრი სიმძლავრის რაციონალური მნიშვნელობა შეადგენს $P_{sr}=12,5..13,0$ კვტ/ტ-ს, ხოლო N_3 კატეგორიის V, VI და VII კლასის მძიმე ტვირთმზიდაობის ავტომობილების და ავტომატარებლებისათვის – $P_{sr}=7,5..8,0$ კვტ/ტ-ს;

6. კვლევის შედეგების რეალიზება საშუალოდ 20%-ით აამაღლებს საქართველოში სატვირთო ავტომობილების კუთრი მწარმოებლურობას (კერძოდ „მაზ-6422“ მარკის ავტომატარებლის მიერ შესრულებული 1 მლნ.ტ.კმ სამუშაოს დირებულება მცირდება დაახლოებით 1450 ლარით, ხოლო „მერსედეს-ბენც აქტროს-1853“ მარკის ავტომატარებლისათვის დაახლოებით – 1000 ლარით) და უზრუნველყოფს საწვავის საგზაო ხარჯის შემცირებას 3...4%-ით და, შესაბამისად, გამონაბოლქვა აირგბში CO-ს მოცულობითი რაოდენობის შემცველობის 5...7%-ით შემცირებას.

დისერტაციის ძირითადი შინაარსი ასახულია შემდეგ პუბლიკაციებში

1. გ. თედორაძე, რ. თედორაძე. საქართველოში საავტომობილო ტრანსპორტის მოძრაობისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების გაუმჯობესების გზები. სამეცნიერო ტექნიკური ჟურნალი „ტრანსპორტი“ №3-4 (23-24), თბილისი, 2006, გვ. 29-31.
2. გ. თედორაძე ჯ. იოსებიძე. რ. თედორაძე. საქართველოში საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდვების ძირითადი მაჩვენებლები და თავისებურებები. საქართველოს საავტომობილო-საგზაო ინსტიტუტი. საერთაშორისო სამეცნიერო ტექნიკური კონფერენციის – „საავტომობილო ტრანსპორტისა და ავტოსაგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პრობლემები“ შრომების კრებული, №4, თბილისი, 2009, გვ. 202-209.
3. გ.თედორაძე, რ.თედორაძე, ლ.ზურაბიშვილი საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის მართვის სისტემის განვითარება. ს/სამეცნიერო ტექნიკური ჟურნალი „ტრანსპორტი“ და მანქანათმმენებლობა“, №4(16), თბილისი, 2009, გვ. 43-48.

4. გ. თედორაძე. საქართველოში საავტომობილო გადაზიდვების ეფექტურობის ამაღლება მისი ორგანიზების სრულყოფის გზით. სამეცნიერო ტექნიკური ჟურნალი „ტრანსპორტი“ და მანქანათმმენებლობა“ №4(16), თბილისი, 2009, გვ. 167-171.

5. გ. თედორაძე, ჯ. იოსებიძე, თ. აფაქიძე. ავტომობილის ეკოლოგიურობაზე კუთრი სიმძლავრის და აირდიზელის გავლენის გამოკვლევა. საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციის-„გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარება“ შრომების კრებული. თბილისი, 2010, გვ. 165-168.

6. გ. თედორაძე. საქართველოში საავტომობილო სატვირთო გადაზიდვების ეფექტიანობის ამაღლება მახასიათებელი პარამეტრების მათემატიკური მოდელირებით. სტუდენტთა სტუ-ს 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო მე-80 საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციის მოხსენებათა თეზისები. თბილისი, სტუ, 2012, (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად)

ABSTRACT

According to current researches, one of the important factors for improvement of motor cars efficiency during cargo transportation in Georgia is the provision of adaptation of motor vehicles' traction and speed properties to driving conditions. One of the efficient methods for achievement of this task is the selection of motor vehicle's engine power according to the driving conditions, and that will stipulate high values of average speed of movement and of profitability with minimal expenses of fuel and other materials supplies.

It is established that characteristic integral parameter of assessment of motor vehicles' traction and speed properties and of their adaptation to operation conditions in real driving conditions in transportation flows is the power-to-weight ratio of motor vehicles. It characterizes the level of motor vehicle's supply with energy. Motor cars with low power-to-weight ratio are moving with low speed at the raising roads on the low steps of transmission under high load conditions (modes), and due to this fact the fuel consumption on the road increases; at the same time transportation flows traffic is hampered and traffic safety is lowered. In case of use of motor cars with high power-to-weight ratio all mentioned parameters improve.

Proceeding from abovementioned under given road conditions those value of power-to-weight ratio should be considered as the rational value of motor vehicles' power-to-weight ratio, which will ensure the complete implementation of motor vehicles' operational properties and at the same time will provide maximum specific performance of cargo transportation with minimal material expenses. According to mentioned above, from the viewpoint of cargo transportation efficiency in Georgia and by taking into account the peculiarities of operating conditions in Georgia the elaboration of methods for determination of rational power-to-weight ratio of freight transport and of creation of corresponding motor vehicles fleet is at present the topical scientific problem.

In the introduction are shown the topicality of the work, its objective, major tasks, scientific novelty and is briefly reviewed the essence of the work.

In the first chapter are considered and analyzed current literary sources, which are related to the efficiency of cargo transportation, as well as to the factors acting on it and the methods of assessment and improvement of its efficiency. It is established that basic requirements for achievement of high level of efficiency is the provision of

motor vehicles' operational properties adaptation to the road traffic conditions and complete implementation of parameters determining the efficiency of their operation.

In the second chapter are studied the capabilities of improvement of motor vehicles' efficiency during cargo transportation by road (trucking) in Georgia by means of selection of rational values of their technical parameters.

In the third chapter is given the assessment of economic and ecological efficiency of results of researches carried out within the frameworks of this work.

Within the framework of the thesis work by means of carried out researches has been established that transportation system of freight vehicle has significant reserves for improvement of the efficiency of transportation, implementation of which is to a great extent depended with the degree of adaptation of motor vehicle power-to-weight ratio to road conditions. Growth in degree of adaptation provides the increase in average speed of movement and in profitability with minimal consumption of the fuel and other material supplies, that in the end allows to rise by 15-20% the efficiency of freight transportation by road (trucking) in Georgia.

Mathematical model is elaborated, which (in case of computer implementation of calculation of motor vehicles' specific performance – average speed of movement and fuel consumption on the road) in contradistinction from the current model foresees the variability of road longitudinal and cross profile elements and of transportation stream parameters, according to real conditions of motor vehicles traffic; engine operation in partially and variable load conditions (modes); transition process of motor vehicle transmission step switching.

It is established for road condition of Georgia, that rational value of power-to-weight ratio for motor vehicles of III and IV class of N₂ category with average load-carrying capacity is equal to $P_{sr}=12,5...13,0$ kwt per ton, while for freight vehicles and motor-vehicle trains of V, VI and VII class of N₃ category with heavy load-carrying capacity $P_{sr}=7,5...8,0$ kwt per ton.

Implementation of research results will increase by 20% in average the specific performance of freight vehicles in Georgia (in particular the cost of 1 mln. ton·km work implemented by motor-vehicle train of MAZ-6622 car model is reduced by 1450 GEL, while for motor-vehicle train "Mercedes Benz Actros-1853 approximately by 1000 GEL) and will provide reduction of fuel consumption on the road by 3...4%, and respectively, 5-7% decrease in the volume content of CO in exhaust gases.